

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით. აღნიშნული შესაძლებელს ხდის სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევის აქტის შედგენის უფლებამოსილების დელეგირებას სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და ტერიტორიულ ორგანოებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზრდება ამ სფეროში სამართალდარღვევათა გამოვლენისა და მათზე რეაგირების ფაქტების რაოდენობა, ხოლო ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის არსებობა საგრძნობლად დააბრკოლებს გამოვლენილ სამართალდარღვევებზე შესაბამისი ორგანოს რეაგირების ოპერატიულობას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში წინამდებარე ცვლილებები მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში გამოვლენილ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, ასევე მის სისტემაში შემავალი სხვა ორგანოს განთავისუფლებას სახელმწიფო ბაჟისაგან საერთო სასამართლოებში განსახილველ საკითხებზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში გამოვლენილ სამართალდარღვევებზე სარჩელებთან დაკავშირებით, შესაბამისი ორგანოების სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არიწვევს დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟისაგან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები
და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.